შემოსვლის თარიღი: 30/12/2021 წ

გასვლის თარიღი: 20/02/2022 წ

დასკვნა

ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. №29ა-ში მდებარე 1725 კვ.მ. მიწის ფართობზე არსებული საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 05.24.08.144) ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ძირითადი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. არადამაკმაყოფილებელი და საფრთხის შემცველია მიშენებული ნაწილის მდგომარეობა. დაზიანებათა კლასიფიკაციის მიხედვით მას გააჩნია ძირითადად II – III და ცალკეულ შემთხვევაში IV ხარისხის დაზინებები (იგულისხმება მიშენებულ ნაწილში გადახურვის ფილის ფრაგმენტის ჩანგრევა). ჯდენების და ბზარების სიდიდიდან, აგრეთვე სამუშაოს შესრულების და გამოყენებული მასალების (ბეტონი, არმატურა) დაბალი ხარისხიდან გამომდინარე აღნიშნულ მიშენებაში სარეაბილიტაციო-გაძლიერების სამუშაოების ჩატარება არარენტაბელურია და საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა განხორციელდეს დემონტაჟი. რაც შეეხება ძველ ნაწილს, უნდა აღდგეს მისი პირვანდელი სახე და სადარბაზოებს ჩაუტარდეს კაპიტალური რემონტი.

დაწვრილებით განმარტებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულია დასკვნის კვლევით ნაწილში.